546/4-1/21 2 26012021

546/4-1/21
26-01-2021

ახმეტის მუნიციპალიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სამთავრობო პოლიტიკა, სტრატეგიები და ადგილობრივი პოლიტიკა ქალებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. თემატური მოკვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება მოკვლევის მრავალმხრივი ჩართულობით წარმართულ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც წერილობითი მოსაზრებები, ისე - საქართველოს პარლამენტში გამართული ორი ზეპირი მოსმენის შედეგები და პროფესიულ განათლებაზე უკვე არსებული კვლევები.

ანგარიშში მოცემულია ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისა და კაცების თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული არ არის (ქალები - 43%), გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთი მხრივ, პროფესიული განათლების სფეროში კაცებისთვის მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობა მათ არ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და ამის გამო წვევამდელი ასაკის კაცები უარს ამბობენ პროფესიულ განათლებაზე (ან ფორმალურად არიან ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებლებში და პარალელურად ეუფლებიან პროფესიულ განათლებას), მეორე მხრივ, არსებული ბარიერების გამო ქალები არ ერთვებიან პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სისტემაში. აუცილებელია განვასხვავოთ 15-24 წლის გოგონებისა და ზრდასრული ქალების ჯგუფების განსხვავებული მდგომარეობა. ზრდასრული ქალებისთვის ბევრად ხელსაყრელია მომზადებისა და გადამზადების კურსები, მათი ხანგრძლივობიდან და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიის სწრაფად დაუფლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური

ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.
3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.
5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.
2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.
4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.
5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი:

(1) „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 37 (ოცდაჩვიდმეტი) გვერდი.

(2) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **42-422104184**
თარიღი: **10/02/2021**
პინი: **9080**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს,

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, 2021 წლის 26 იანვრის N545/4-1/21 წერილის პასუხად, გაწვდით ინფორმაციას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებული თემატური მოკვლევის ,,პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“ ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. კერძოდ:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი“, რომელიც მრავალდარგოვანი კოლეჯია და ახორციელებს შემდეგი მიმართულებების პროფესიულ საგანმნათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამებს: აგრარული მეცნიერებანი („ფერმერობა მეთევზეობაში“, „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“, „თევზის გადამუშავება“, „ფერმერი მემცენარე“) ინჟინერია („ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“,“ სამკერვალო წარმოება“, „ელექტროობა“), ტრანსპორტი („ამწე და მსაგავსი მანქანების ოპერირება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“), მასალათმცოდნეობა („‘შედუღება“), მიმართულებათაშორისი დარგები და სპეციალობები: („სარესტორნო მომსახურება“,“სასტუმრო მომსახურება“, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“).

კოლეჯი „ფაზისი“ ასევე ახორციელებს პროფესიული მომზადება/გადამზადების (მოკლევადიან) პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით: „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“, „ელექტრული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია“, „შედუღება“, „მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერი, ჰიდრავლიკური ექსკავატორი, სატვირთველი(ავტომტვირთველი, საკონტეინერო გადამტვირთველი მანქანა, ციცხვიანი მტვირთველი)) ოპერატორი“, „ამწე და მსაგვსი მანქანების ოპერირება (სხვადასხვა ტიპის კოშკურა, ხიდურა, ჯოჯგინა, პორტალური, საავტომობილო ტიპის შასიზე დამონტაჟებული მობილური ამწეების, მუხლუხა, სავალი მოწყობილობის მქონე და სარკინიგზო ამწეების)“, „ტანსაცმლის დეტალების შეერთება და თბურ-დანამვითი მოწყობილობების ოპერირება“, „სასტუმროს და რესტორნის საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა“, „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურება“.

კოლეჯი ზემოაღნიშნულ პროგრამებს ახორციელებს ორ ლოკაციაზე - **ფოთი. კონსტიტუციის ქ. 54 და ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი.**

კოლეჯში 2020 წელს დაინერგა პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამები - "კომპიუტერული ქსელები და სისტემები" და „სასტუმრო მომსახურება“ , რომლებშიც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებია ინტეგრირებული - აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულები მიიღებენ პროფესიულ დიპლომს, რომელიც გათანაბრებული იქნება ზოგადი განათლების ატესტატთან, რაც საშუალებას აძლევს მათ სწავლა განაგრძონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნებისმიერ მიმართულებაზე.

კოლეჯი მუშაობს ასევე ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის პროფესიულ განათლებაში და ამ მიმართულებით გაწეული აქვს სხვადასხვა ტიპის აქტივობები - 2020 წელს ქალების პროფესიულ განათლებაში ჩართულობის ამაღლებისათვის, დისტანციურ რეჟიმში ონლაინ ტრენინგ-კურსების

განხორციელების მიზნით, ,,გაეროს ერთობლივი პროგრამა - ,,გენდერული თანასწორობისათვის“ პროექტის ფარგლებში, სსიპ კოლეჯმა ,,ფაზისი“ შეიმუშავა და განახორციელა 13 პროგრამა დისტანციურ რეჟიმში:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიები

2. მეწარმეობა

3. ინგლისური ენის ზოგადი კურსი (A2-B1 დონე)

4. ინგლისური ენის ბიზნეს კურსი (B2 დონე)

5. ბუღალტრული აღრიცხვა

6. თმის ვარცხნილობები

7. მომხმარებლის მომსახურება სავაჭრო ორგანიზაციებში

8. მომხმარებლის მომსახურება საფინანსო ორგანიზაციებში

9. ინტერპერსონალური უნარები

10. შინმოვლა

11. გადაზიდვები და ლოგისტიკა

12. სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა

13. სასტუმროს დაჯავშნის სამსახური

ზემოაღნიშნული მოკლევადიანი პროგრამები ჯამში წარმატებით გაიარა **340-მა მსმენელმა.** მათ შორის სხვადასხვა ასაკის **ქალი 297 (87%), დევნილი - 29**, კურსების გავლის შემდეგ **დასაქმებულია 149.**

მიმდინარე ეტაპზე სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობს და პროფესიას ეუფლება **375 პროფესიული სტუდენტი, რომელთაგან 44% ქალია.**

კოლეჯში წარმატებით დაინერგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით, სადაც პროფესიას ეუფლება11 პროფესიული სტუდენტი და მათ შორის 8 ქალია.

კოლეჯში ჩარიცხულ, დევნილ პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირების ხარჯებს, ყოველთვიურად უზრუნველყოფს „დევნილთა და ეკომიგრანტთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების სამმართველო“.

სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შშმპ და სსმპ სტუდენტთა სწავლების ხარისხს. ამ მხრივ კოლეჯი სრულად არის ადაპტირებული (მისასვლელი ბილიკები, პანდუსები, ლიფტი, სასწავლო გარემო, საჭიროების შემთხვევაში ადაპტირებული სასწავლო რესურსები და მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობა)

მიმდინარე ეტაპზე კოლეჯში ორივე ლოკაციაზე (ფოთი, ხობი. ნოჯიხევი) სწავლობს 6 სსმ პირი, მათ შორის 4 ქალი. მათი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც შედგენილი გეგმის მიხედვით სისტემატიურად უწევენ მონიტორინგს სასწავლო პროცესში მათ ადაპტირებას, მუდმივ კომუნიკაციაში არიან მათთან, მათ მშობლებთან/მეურვეებთან, იკვლევენ მათ საჭიროებებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან ერთად ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს.

მიმდინარე ეტაპზე, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, პროფესიული განათლების მიღების მსურველ სტუდენტებს სავალდებულო სამხედრო სამსახური პროგრამის დასრულებამდე გადაუვადდებათ. შედეგად, ახალგაზრდები პროგრამის დასრულებას უწყვეტად შეძლებენ.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელებული თემატური მოკვლევის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ ანგარიშში შემუშავებული რეკომენდაციებს გაცნობებთ, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 50 მგზავრზე გათვლილი, 9 ახალი ავტობუსი გადმოსცა,

ასევე იგეგმება კიდევ 1 ახალი ავტობუსის გადმოცემა. ყველა სატრანსპორტო საშუალება სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ახალი ავტობუსები შეესაბამება თანამედროვე სტანდარტის ყველა ტექნიკურ მოთხოვნას. მათ შორის, აღჭურვილია ევროსტანდარტების შესაბამისი ვენტილაციის სისტემით და მნიშვნელოვანია ეკოლოგიის დაცვის თვალსაზრისითაც.

ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებულია სპორტული ობიექტები, ესენია: ქალაქ ფოთის სარაგბო ბაზა ,,პარკი-არენა'', ქალაქ ფოთის საფეხბურთო ცენტრი, ქალაქ ფოთის სპორტული კომპლექსი (საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი) - დასრულდება 2021 წელს, ქალაქ ფოთის ცენტრალური სტადიონი - დასრულდება 2021 წელს, ქალაქ ფოთის ხელბურთის დარბაზი - დასრულდება 2021 წელს.

რაც შეეხება ქალაქ ფოთში არსებული 9 სპორტული დარბაზსა და ღია ცის ქვეშ არსებულ 32 ხელოვნურსაფარიანი მოედანს ამ ეტაპზე არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლებიდან შშმ პირებისთვის ნაწილობრივ ადაპტირებულია: ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი - (ერთ-ერთი შენობა თამარ მეფის ქ. N17 დასრულდება 2021 წელს და სრულიად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის) და ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი, ხოლო ქალაქ ფოთის არჩილ ხორავას სახელობის ხელოვნების სასწავლებელი და ქალაქ ფოთის მოსწავლე - ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი შშმ პირებისათვის ამ ეტაპისთვის ადაპტირებული არ არის.

აქვე გაცნობებთ, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი განაგრძობს მუშაობას, შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს თემატური მოკვლევის შედეგად გაცემული რეკომენდაციები.

გოჩა კურდღელია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი